2025

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

ძირითადი დონორები 2025

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლის ოქტომბერში დაარსდა. „ელკანას“ მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობის განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

„ელკანა“ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საქმიანობს. დაარსების დღიდან ისეთი საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორებიც არიან: EU, Brot für die Welt, HEKS, DANIDA, ევროპის ფონდი, BP, WB, UNDP, GEF, SDC, FAO, KfW, WWF და სხვ., ორგანიზაციას 200-მდე პროექტი აქვს განხორციელებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანა“ საქმიანობს შემდეგ სფეროებში:

- კონსულტაციები და ტრენინგები აგროეკოლოგიისა და ბიოწარმოების დარგში;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- ხარისხის შიდა კონტროლის სისტემების დანერგვა მწარმოებელთა ჯგუფებში (ბიოწარმოება, სამართლიანი ვაჭრობა, აგროეკოლოგია, გეოგრაფიული აღნიშვნები);
- ბიოფერმერებისა და ფერმერთა ჯგუფების ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა;
- ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქტების განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- თემის მობილიზება და სოფლის განვითარება;
- სოფლად ტურიზმის განვითარება, ტრადიციული პროდუქტების, ღვინის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება აგროეკოლოგიის, ბიოაგროწარმოებისა და ტრადიციული ჯიშების მნიშვნელობის მხრივ.

ასოციაცია მთელ საქართველოში 2000-მდე ფერმერთან მუშაობს, მათ შორის: ფერმერთა ჯგუფებთან, სხვადასხვა ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და ა.შ. „ელკანა“ თანაბრად თანამშრომლობს როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ორგანიზაციის დაფუძნებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაშიც.

ორგანიზაციის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს. მას აგრეთვე აქვს ოფისი ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი) და წარმომადგენლობა დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი). გარდა ამისა, „ელკანა“ ორ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას მართავს: მცენარეული კულტურების საკონსერვაციო მეურნეობას - „მარცვლეულის კიდობანს“ სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და შინაური ცხოველების ადგილობრივი ჯიშების საკონსერვაციო ფერმას სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი).



„ელკანას“ მიერ 2025 წელს განხორციელებული პროექტები

#	პროექტის სახელწოდება	ხანგრძლივობა	დონორი
1.	ორგანული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში	სექტემბერი 2024 - აგვისტო 2027	პური მსოფლიოსთვის, გერმანია
2.	„აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში	მარტი 2024 - ივნისი 2025	BP EXPLORATION
3.	იმერული მუხის საპილოტე აღდგენითი ღონისძიებების გაძლიერება	დეკემბერი 2024 - მაისი 2026	BP EXPLORATION
4.	ბიომრავალფეროვნების აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში	სექტემბერი 2023 - მაისი 2026	BP EXPLORATION
5.	მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის ხელშეწყობა (SBDP4)	იანვარი 2025 - ივნისი 2026	BP EXPLORATION
6.	აგროეკოლოგიური სკოლის განვითარება	2024 - 2025	აგროეკოლოგიის ფონდი
7.	SOLATIUM1: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის	მაისი 2023 - მარტი 2025	გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი (გიფ-თ)

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

ასოციაცია „ელკანას“ წევრთა IX საერთო კრება

27 ივნისს სოფელ წნისში, ასოციაცია „ელკანას" საკონსერვაციო მეურნეობაში - „მარცვლეულის კიდობანი“ გაიმართა „ელკანას“ წევრთა საერთო კრება, რომელიც ჩატარდა გაფართოებულ ფორმატში და ნამდვილ წევრებთან ერთად ესწრებოდნენ ასოცირებული წევრებიც. ასოციაცია „ელკანას“ **40** ნამდვილი წევრიდან საერთო კრებას დაესწრო **23** ხმის უფლებით.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს გამგეობისა და დირექტორის ანგარიში 2024 წელს ასოციაციის მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და საქართველოში ბიოწარმოების განვითარების მდგომარეობის შესახებ, ასევე განმარტება ასოციაციის წევრობის ახალი სტრუქტურის შესახებ, იმსჯელეს ორგანიზაციის 2025 წლის პრიორიტეტებზე.

ჯგუფური სერტიფიცირების სისტემა

- **მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათის“ პროდუქცია ჯგუფური ორგანული და Fairtrade-სერტიფიკატების მფლობელი გახდა!**

Certificate for operators, groups of operators and exporters in third countries for products to be imported into the European Union as organic products or in-conversion products

Part I: Mandatory elements

1.1 Document number: GE-BIO-117.2025-0000150.2025.301

1.2 Operator type: ☐ Operator ☑ Group of operators ☐ Exporter

1.3 Operator or group of operators
Name: Association Caucasnut
Address: 158, Rustaveli street, village Durcheli 2100 Zagdidi
Country: Georgia ISO Code: GE

1.4 Control authority/Control body
Authority: Caucascert LLC (GE-BIO-117)
Address: Yuri Gagarin str. v23 , 0016, Tbilisi
Country: Georgia ISO Code: GE

1.5 Activity or activities of the operator, group of operators or exporter
• Production

1.6 Category or categories of products as referred to in Article 35 (7) of Regulation (EU) 2018/848 of the European Parliament and of the Council and production methods
• (a) Unprocessed plants and plant products, including seeds and other plant reproductive material
Production method:
– Organic production excluding during the conversion period
– Production during the conversion period

1.7 Directory of products

Name of the product	Combined nomenclature (CN) code as referred to in Council Regulation (EEC) No 2658/87 for products within the scope of Regulation (EU) 2018/848	
	08022100 In shell	Organic
	08022100 Dashed	In-conversion

This document has been issued in accordance with Commission Implementing Regulation (EU) 2021/1378 to certify that the operator or group of operators complies with Regulation (EU) 2018/848.

1.8 Date, place
Date: 25 September 2025 11:28:50 +04 (Asia/Tbilisi)
Place: Tbilisi (GE)
Name and signature: Caucascert LLC
Digitally signed by: CAUCASCERT LLC on 2025-09-25 07:28:53 UTC

1.9 Validity
Certificate valid from 21/09/2025 to 01/08/2027

ISSUED

„ელკანასი“ 2014 წლიდან ჯგუფური ბიოსერტიფიცირების სისტემა აქვს დანერგილი, 2025 წელს ასოციაცია „ელკანას“ ნამდვილმა წევრმა ბიომეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“ წარმატებით გაართვა თავი წევრ ფერმერთა შიდა კონტროლის სისტემის მართვას და წელს უკვე დამოუკიდებლად შეძლო EU Organic და Fair Trade (FLO) სერტიფიკატების აღება. „კავკასნათი“ პირველი ასოციაციაა საქართველოში, რომლის პროდუქციაც ორივე სერტიფიკატს ფლობს. ასოციაციას ამჟამად 328 Fair Trade (FLO) სერტიფიკატებული წევრი ყავს, რომლებიც 550 ჰა თხილის პლანტაციებს ფლობენ და 800 ტონამდე გაუტეხავ თხილს აწარმოებენ. მათ შორის ევროკავშირის რეგულაციების თანახმად ბიოსერტიფირებულია 238 ფერმერი / 370 ჰა, ხოლო სერტიფირებული პროდუქციის რაოდენობა 500 ტონა გაუტეხავ თხილს აღწევს.

- **ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციია ორგანული ჯგუფური სერტიფიკატის მფლობელია!**



„ელკანას“ წევრი ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია 2018 წლის დეკემბერში დაარსდა. იგი მაღალმთიანი აჭარის მეფუტკრეებს აერთიანებს, რომლებიც „ფუტკრის მოშინაურების“ საუკუნოვან ტრადიციას მისდევენ და ამ რთულ საქმეს დღესაც აგრძელებენ. 2022 წელს კი „ელკანას“ ხელშეწყობით ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციამ შეიმუშავა და დანერგა შიდა კონტროლის სისტემა. 2025 წელს ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის წევრმა მეფუტკრეებმა 368 ჯარას სკიდან ამოღებულ 2.5 ტონა თაფლზე ჯგუფური ბიოსერტიფიკატი მიიღეს.

ტრენინგი აგროეკოლოგიისა და ბიომეურნეობის საკითხებზე

■ ტრენინგი შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში

4-5 თებერვალს „ელკანას“ ექსპერტებმა, აგროეკოლოგიური სკოლის ფარგლებში, სოფელ ზემო ხოდაშენში, შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში ჩაატარეს ორდღიანი ტრენინგი. ტრენინგის პირველი დღე, რომელსაც ლალი გოგინავა უძღვებოდა, მიეძღვნა მეხილეობისა და მებოსტნეობის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას - გაიმართა ხეხილის გასხვლის მასტერკლასი. ტრენინგის მეორე დღეს „ელკანას“ პროგრამის მენეჯერმა თამაზ დუნდუამ დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია მეღორეობის, მესაქონლეობის, მეცხენეობისა და მეფრინველეობის საკითხებზე. ტრენინგის ბოლოს ნუკრი მემარნიშვილმა ისაუბრა მემარცვლეობის განვითარების შესახებ. ორდღიან ტრენინგს ესწრებოდნენ „ელკანას“ წევრი ფერმერები და საპატრიარქოსთან არსებული დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის კოლეჯის სტუდენტები, სულ 19 მონაწილე (მათ შორის - 13 ქალი).

■ აგრარული ბიომრავალფეროვნების ტრენინგი ქალთა ასოციაცია „მედეგთან“

ქალთა ასოციაცია „მედეგი“თანამშრომლობს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან. ასოციაციის ინიციატივით 5 მარტს ქალაქ გორში ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ. ღონისძიებას დაესწრო 25 მონაწილე, მათ შორის 2 მამაკაცი. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ

აგრარული ბიომრავალფეროვნების პროექტის ფარგლებში გამრავლებული პარკოსანი და ბოსტნეული კულტურების თესლები (სულ 325 შეკვრა).

ასოციაციის წევრებმა ამ პროექტის შესახებ სოციალური ქსელების საშუალებით შეიტყვეს და ადგილობრივი კულტურების მოყვანით დაინტერესდნენ. მათ თავად უზრუნველყვეს შეხვედრის ორგანიზება. მონაწილეებს ესაუბრნენ აგრარული ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის, ასევე, პროექტისა და მის ფარგლებში გამრავლებული თესლეულისა და მათთვის საინტერესო კულტურათა მოყვანის შესახებ.

- **ტრენინგი - ბიომეგბოსტნეობა და ბოსტნეული კულტურების ადგილობრივი ჯიშების თესლეულის წარმოება საოჯახო მეურნეობაში**

26-28 მარტს და 10-11 აპრილს ასოციაცია „ელკანამ“ ქალაქ ახალციხეში ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის გამართა ტრენინგები თემაზე - „ბიომეგბოსტნეობა და ბოსტნეული კულტურების ადგილობრივი ჯიშების თესლეულის წარმოება საოჯახო მეურნეობაში“.

ტრენინგები ჩატარდა bp საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში“ ფარგლებში. პროექტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხ.: **https://elkana.org.ge/project/4**

ტრენინგებს უძღვებოდნენ „ელკანას“ მრჩევლები ნუკრი მემარნიშვილი და ლალი გოგინავა. შეხვედრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით - ქალების მხრიდან. სწავლებას დაესწრო 97 ფერმერი (მათ შორის - 51 ქალი) სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 11 სოფლიდან (მუსხი, ურაველი, წნისი, ღრელი, მინაძე, ანდრიაწმინდა, ტოლოში, ზიკილია, აგარა, კლდე და უდე). ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს თავ-თავიანთ მეურნეობაში გასამრავლებლად გადაეცათ „ელკანას“ მიერ პროექტის ფარგლებში მოწეული ბოსტნეული და პარკოსანი კულტურების თესლის მათივე შერჩეული 5-6 პაკეტი.

■ ტრენინგი სოფელ მუსხში

4 აპრილს სოფელ მუსხში (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი) „ელკანას“ მეხილეობის კონსულტანტმა ჩაატარა საველე ტრენინგი თემაზე - „საგაზაფხულო აგროტექნიკური სამუშაოები ხილ-კენკროვანი კულტურების ბაღში“. ტრენინგს ესწრებოდნენ ფერმერები სოფელ მუსხიდან (სულ 14 პირი, მათ შორის - 2 ქალი).

■ ტრენინგი - ხეხილოვანი კულტურების მყნობა

21-22 აგვისტოს სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი), საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის, ახალციხის კოლეჯ „ოპიზარის", სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის (სულ 34 პირი, მათ შორის - 24 ქალი) ჩატარდა საველე პრაქტიკული ტრენინგი ხეხილოვანი

კულტურების მყნობის საკითხებზე. ტრენინგის მიზანი იყო ვაშლის ადგილობრივი ქართული ჯიშების პოპულარიზაცია, ხეხილოვანი კულტურების მყნობის ტექნოლოგიების გაცნობა და პრაქტიკულად განხორციელება. სწავლების ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკულად მონაწილეობდნენ უშუალოდ მყნობის პროცესში - ნახევრად ნაგალა საძირეზე, MM-106 და M-9-ზე დაიმყნო 26 ადგილობრივი, გადაშენების პირას მყოფი ვაშლის სხვადასხვა ჯიში.

სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

■ აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია „მარცვლეულის კიდობანში“

„მარცვლეულის კიდობანი“ ასოციაცია „ელკანამ“ 2004 წელს დაარსა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში. მეურნეობის საერთო ფართობია 4.8 ჰა. აქ ითესება და მრავლდება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ხორბლის ენდემური სახეობები: ჩელტა ზანდური (*Triticum timopheevii*), კოლხური ასლი (*Triticum palaeocolchicum*), მახა (*Triticum macha*), ჰექსაპლოიდური ზანდური (*Triticum zhukovskyi*) და დიკა (*Triticum carthlicum*), და ადგილობრივი ჯიშები: ახალციხის (მესხური) წითელი დოლი (*Triticum aestivum* L. var. ferrugineum) და სხვა; პარკოსანი კულტურები: მუხუდო (*Cicer arietinum*), ცერცვი (*Vicia faba*), ცულისპირა (*Lathyrus sativus*), ოსპი (*Lens culinaris* Medic), ძაძა (*Vigna unguiculata*); საზეთე კულტურა - სელი (*Linum usitatissimum*), ასევე ღომი (*Setaria italica* (L) Beaur) და ბოსტნეულის ადგილობრივი ჯიშები. 1 ჰექტარზე გაშენებულია ხეხილის ბაღი და სანერგე, სადაც ხარობს ვაშლისა და მსხლის ადგილობრივი ჯიშები.

„ელკანას“ მიერ გამრავლებულ კულტურათა ადგილობრივი ჯიშების კონსერვაცია მიმდინარეობს „მარცვლეულის კიდობანში“ არსებულ თესლის ბანკისა და ცოცხალი ნათესების საშუალებით. თესლის ბანკში სათესლე მასალა ყოველწლიურად ახლდება და ხელმისაწვდომია ფერმერებისთვის და ასევე დაინტერესებულ პირთათვის.

bp საქართველოს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში“ - „ელკანას“ საშუალება ჰქონდა მეურნეობაში კულტურების ადგილობრივი ჯიშები გაემრავლებინა შემდგომში ფერმერებში გავრცელების მიზნით. 2025 წელს თესლეულის 14 ბიბლიოთეკას და 300-ზე მეტ ფერმერს გადაეცა მეურნეობაში მოყვანილიკულტურების თესლები.

მთლიანად 2025 წელს აგრარული ბიომრავალფეროვნების პროგრამის ფარგლებში „მარცვლეულის კიდობანში“ მიღებულმა მოსავალმა შეადგინა:

#	დასახელება	რაოდენობა (კგ)
ბოსტნეული კულტურები		
1	ისპანახი	5
2	ჭარხალი	2.7
3	იმერული გოგრა	4.5
4	მეგრული სქელკანიანი გოგრა	3.4
5	წითელი პომიდორი ჩერი	0.32
6	მუხრანის პომიდორი	0.52
7	ჭოპორტის ვარდისფერი პომიდორი	0.6
8	მდოგვი	0.41
9	წითელი წიწაკა	0.12
10	პრასი	0.9
11	იისფერი რეჰანი	0.45
12	რეჰანი	0.2
13	იმერული ცხარე წიწაკა	0.25
14	ტაგეტესი (ყვითელი ყვავილი)	0.5
15	ლაგოდეხის საზამთრო	0.25
16	იმერული საზამთრო (ნაკლებთესლიანი)	0.3
17	ნექტარინის ნესვი	0.62
18	ტყის კიტრი	1.8
19	მუხრანის კიტრი	1.7
20	ქინძი	9.2
21	ნიახური	0.86
22	ოხრახუში	1.74
23	ქონდარი	1

24	წიწმატი	1.5
25	ხუჭუჭა წიწმატი	2.2
26	სალათა	2
27	კამა (სოხუმური)	3
28	ბოლოკი	5
მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები		
29	დიკა	97
30	ჩელტა ზანდური	40
31	თეთრი მახა	30
32	წითელი მახა	25
33	კოლხური ასლი	26
34	კილიანი ხორბლის ცენოზი	37
35	შავფხა	499
36	ცულისპირა	36
37	ოსპი	0.6
38	ცერცვი	64
39	მუხუდო	153.6
40	ძაძა	17
41	ღომის თავთავი	148
42	სელი	39
43	ფეტვი	15
ხილი		
44	ვაშლი	2700
სამკურნალო მცენარეები		
45	ბაყაყურას თესლი	0.2
	მრავალძარღვას ფოთოლი	2.6
46	სალბის ფოთოლი	2.5
47	გულყვითელას ყვავილი	1
48	ცერეცო	1.1
ვაშლისა და მსხლის ნერგები		
49	დაემყნო ვაშლის საძირე	789 საძირე
50	დაემყნო მსხლის საძირე	48 საძირე

„მარცვლეულის კიდობანში“ ფუნქციონირებს თესლეულის ბიბლიოთეკა, რომელიც 2024 წელს პროექტის ფარგლებში - „თესლეულის ბიბლიოთეკები“ - მოეწყო და ჩეხურ ორგანიზაცია Seminkovna-სთან ერთად განხორციელდა. თესლეულის ბიბლიოთეკების დახმარებით მიმდინარეობს არა მხოლოდ სათესლე მასალის გაცვლა და გაზიარება, არამედ მათ აქვთ საგანმანათლებლო ფუნქციაც, და ხელს უწყობენ ახალი

თანამშრომლობითი ჯგუფებისა და მეგობრული კავშირების ჩამოყალიბებას. 2025 წლის განმავლობაში 250-ზე მეტმა ფერმერმა და დაინტერესებულმა პირმა გაცვალა თესლეული თესლის ბიბლიოთეკის დახმარებით.

■ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობნის“ სერტიფიცირება

2025 წლის 12 სექტემბერს შპს კავკასსერტის მიერ ჩატარდა „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობნის“ გეგმიური ყოველწლიური ინსპექტირება, რის შედეგადაც 2025 წელს წარმოებულ ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურათა მოსავალს შპს კავკასსერტის მიერ მიენიჭა სტატუსი - „გარდამავალი ორგანულში“. საკონსერვაციო მეურნეობის სერტიფიცირების პროცესი 2023 წლიდან მიმდინარეობს, გარდამავალი პერიოდის ათვლა 2023 წლის 9 ნოემბერს დაიწყო.

■ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობა

2011 წლიდან სოფელ ზემო ხოდაშენში ფუნქციონირებს „ელკანას“ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობა, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გენეტიკური რესურსების კონსერვაცია, პოპულარიზაცია და მათი გავრცელების ხელშეწყობა ფერმერულ მეურნეობებში.

ამჟამად მეურნეობაში მიმდინარეობს თუშური ცხენის, პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების (ქართული მთის ძროხა – ჯილაგი და ფშავ-ხევსურული), კახური ღორის, ქათმის ადგილობრივი პოპულაციების (მეგრულა და ნაცარა) და ჯავახური ბატის კონსერვაცია და გამრავლება.

მეურნეობა აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის სადემონსტრაციო ცენტრს წარმოადგენს. მის ტერიტორიაზე მოწყობილია პერმაკულტურული დიზაინი, რომელიც მოიცავს ხეხილის ბაღს, ვენახს, ქარსაფარ ზოლს, წვიმის წყლის შეგროვების სისტემას, წვეთოვან სარწყავ სისტემასა და მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსისტემას.
დაინტერესებულ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ მეურნეობაში შეიძინონ კახური ღორის გოჭები და ადგილობრივი ქათმის საინკუბაციო კვერცხი. გარდა ამისა, კახური ღორისა და ადგილობრივი ქათმის მოშენებაში ჩართული ფერმერები მუდმივად იღებენ კონსულტაციას და ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას „ელკანას“ სპეციალისტებისგან, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი გენეტიკური რესურსების შენარჩუნებასა და პოპულაციის ზრდას.
2025 წელს „ელკანამ“ თუშური ცხენის გენოფონდის გაძლიერების მიზნით შეიძინა 5 თუშური ფაშატი, რომლებიც ჩაერთვნენ მეურნეობის სანაშენე პროგრამაში.

ადგილობრივი ჯიშების გავრცელებისა და გამრავლების ხელშეწყობის მიზნით ფერმერებზე გაიცა 60 კახური ღორის გოჭი. აქედან 22 გოჭი გადაეცა რაჭის რეგიონში მცხოვრებ 10 ფერმერს, ხოლო 38 – კახეთის რეგიონის ფერმერებს. ყველა გოჭი გაიცა მხოლოდ სანაშენე წყვილების სახით, რაც უზრუნველყოფს მათ შემდგომ გამრავლებასა და ადგილობრივი ჯიშის პოპულაციის ზრდას. ამავე პერიოდში ფერმერებზე საინკუბაციოდ გაიცა ადგილობრივი ქათმის 408 კვერცხი, რაც ხელს უწყობს აქაური პოპულაციების გავრცელებასა და შენარჩუნებას.

■ ცოდნის გაზიარების ღონისძიება „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში

16 და 17 ივნისს „მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა **ცოდნის გაზიარების** ღონისძიებები, რომელსაც დაესწრო 51 მეურნე, მათ შორის - 26 ქალი. დამსწრეებმა კულტურათა მოყვანის თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს.

16 ივნისის ღონისძიებას ასევე ესწრებოდა თავისუფალის ვალდორფის სკოლის 26 მოსწავლე და 1 მასწავლებელი. ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას და გამოცდილებას, ასევე ინფორმაციას იმ სხვადასხვა სამარცვლე პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების შესახებ, რომლებიც აქ, საკონსერვაციო მეურნეობაში ითესება და მრავლდება, აგრეთვე ხეხილის და ბოსტნეულის ადგილობრივი ჯიშების შესახებ. დააგემოვნეს „მარცვლეულის კიდობანში“ მოწეული ადგილობრივი პარკოსანი პროდუქტებით მომზადებული კერძები, ხორბლის ადგილობრივი ჯიშის - ახალციხის წითელი დოლისა და ენდემური სახეობის, დიკას ფქვილით გამომცხარი პური, ასევე ტენილი ყველი, ნახეს თონეში პურის ცხობის პროცესი და თავადაც მიიღეს მონაწილეობა თონეში პურის ჩაკვრაში.

■ გერმანელი დონორების წარმომადგენლების ვიზიტი „ელკანაში“

16 ივნისის ღონისძიების მიმდინარეობისას, „მარცვლეულის კიდობანმა“ ასევე უმასპინძლა სტუმრებს გერმანიიდან - ბატონ შმიცს, BMZ-ის (გერმანიის ფედერალური სამინისტრო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საკითხებში) წარმომადგენელს, სებასტიან ჰიშს (საგრანტო მენეჯერი, პასუხისმგებელი საქართველოს პროექტებზე), Renovabis-დან (გერმანიის კათოლიკური ეკლესიის სოლიდარობის ფონდი) და გერჰარდ შაუმბერგერს, Misereor-ის (გერმანიის კათოლიკე ეპისკოპოსების განვითარების თანამშრომლობის ორგანიზაცია) წარმომადგენელს.

სტუმრებმა დაათვალიერეს მეურნეობა, შეხვდნენ ფერმერებსა და პრაქტიკაზე მყოფ ვალდორფის სკოლის მოსწავლეებს. BMZ-ის წარმომადგენელი დაინტერესდა, რამდენად მდგრადი შეიძლება იყოს მეურნეობა, რომელიც გადაშენების პირას მისულ ასეთ ძველ კულტურებს ინარჩუნებს. კითხვაზე Misereor-ის წარმომადგენელმა უპასუხა. ის წარსულში საქართველოში ავსტრიის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობდა და „ელკანასთან“ თანამშრომლობდა ორგანული სოფლის მეურნეობისა და აგროტურიზმის პროექტში. მან აღნიშნა, რომ „მდგრადობა მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით არ უნდა შეფასდეს. თავად ის ფაქტი, რომ ეს ხორბლის ჯიშები ათასწლეულების განმავლობაში შემორჩა, მათი სიცოცხლისუნარიანობისა და ნამდვილი მდგრადობის ძლიერი დასტურია“.

შემდგომ სტუმრები ეწვივნენ ფერმერ ზაზა ივანიძეს, რომელიც „ელკანას“ წევრი და კონსერვაციის პროგრამის ერთ-ერთი ბენეფიციარია. იგი შემოსავალს იღებს ტურისტული ჯგუფებისთვის კვების მომსახურების შეთავაზებით და მათ ტრადიციული ხორბლისგან გამომცხვარ პურს და სხვა კერძებს სთავაზობს. მას სწორედ ტრადიციული სამზარეულოს და ადგილობრივი კულტურებისგან დამზადებული კერძების გამო სტუმრობენ. ამ შეხვედრის შემდეგ ბატონმა შმიცმა აღნიშნა, რომ ახლა ის უკვე დარწმუნებულია, რომ BMZ-ის დაფინანსება მართლაც მნიშვნელოვანი და შედეგიანი ინიციატივის მხარდაჭერას ემსახურება.

■ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის მოსწავლეები „მარცვლეულის კიდობანში“

15-24 ივნისს სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი), საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ 10-დღიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა გაიარა თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის IXბ კლასის ოცდაექვსმა მოსწავლემ კლასის ხელმძღვანელთან ერთად.

პრაქტიკის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ ასოციაცია „ელკანას“ ძირითად საქმიანობებს და „მარცვლეულის კიდობნის“ მეურნეობას, სადაც საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით

ითესება და მრავლდება გადაშენების პირას მყოფი ხორბლის ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები, მარცვლოვანი და სამარცვლე პარკოსანი კულტურებისა და ბოსტნეულის ადგილობრივი ჯიშები, გაშენებულია ვაშლისა და მსხლის ადგილობრივი ჯიშების ბაღი და სანერგე.

მოსწავლეებს ჩაუტარდათ სემინარი აგრარული ბიომრავალფეროვნებისა და ორგანული სოფლის მეურნეობის საკითხებზე. პრაქტიკის ფარგლებში მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ „მარცვლეულის კიდობანში“ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

■ იტალიელების სასწავლო ვიზიტი „მარცვლეულის კიდობანში“

3 ივლისს „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანს“ (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი) სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ესტუმრა სურსათისა და ბიომრავალფეროვნების ასოციაციის ბელუნოს მთის თემის (იტალია) წარმომადგენელთა ჯგუფი (Bellunese Mountain Community of Food and Biodiversity Association, Italy).

ვიზიტის ფარგლებში „ელკანას“ წარმომადგენლებმა იტალიელთა ჯგუფის წევრებს გააცნეს „ელკანას“ საქმიანობა, დაათვალიერებინეს „მარცვლეულის კიდობანი“ და გაუზიარეს აგრარული ბიომრავალფეროვნების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობების გამოცდილება. თავის მხრივ იტალიელთა ჯგუფის წარმომადგენლებმაც გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება „ელკანას“ თანამშრომლებს და ორი დღის განმავლობაში სტუმრობდნენ „ელკანას“ ბიომრავალფეროვნების პროგრამაში ჩართულ ფერმერებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

■ სასწავლო ვიზიტი მეღვინეობა „იორაში“

17 ივლისს მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის (SBDP4) ფარგლებში დაფინანსებული ცხრა მეღვინე სასწავლო ვიზიტით სოფელ ნინოწმინდაში (კახეთი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) არსებულ ასოციაცია „ელკანას“ წევრ ღვინის მარან „იორას“ ეწვია. საწარმოს ისტორია 2014 წელს დაიწყო, როდესაც მარნის მეპატრონე კონსტანტინე (კოტე) თოფურიამ 2,000 ძირი ვაზი გააშენა. 2019 წელს მარანმა პირველი ბიოსერტიფიკატი მიიღო როგორც პირველად პროდუქტზე (ყურძენი), ისე ღვინოზე. „ელკანას“ კონსულტანტის, გიორგი ბარისაშვილის ხელმძღვანელობით ტურის მონაწილეებმა დაათვალიერეს ვენახი, ენოთეკა და მარანი. სტუმრებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს ორგანული სერტიფიცირების პროცესზე, მარნისა და ვენახის მართვის მეთოდებსა და აგროტურიზმის განვითარების ინოვაციურ სტრატეგიებზე. აღინიშნა, რომ ბიოწარმოება გულისხმობს აქცენტს არა მიღებული ღვინის რაოდენობაზე, არამედ მის ხარისხზე.

■ ბიომრავალფეროვნების აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში

„ელკანა“ მონაწილეობს აჯამეთის აღკვეთილში (იმერეთის რეგიონი, საქართველო) ბიომრავალფეროვნების აღდგენის ღონისძიებებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, აჯამეთის აღკვეთილში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კრიტიკული ჰაბიტატის აღდგენითა და შენარჩუნება-გაძლიერებით, კერძოდ, იმერული მუხისა და კავკასიური ძელქვის აღდგენის საპილოტე მოდელის განხორციელებით. იმერული მუხა საქართველოს ენდემური სახეობაა, რომელიც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. 2025 წლის ბოლოსთვის „ელკანას“ ექსპერტების მონაწილეობით 6.72 ჰა ფართობზე დარგულია 20,300-მდე იმერული და 1,200 ქართული მუხის ნერგი. მთელ ფართობზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

■ ტრენინგი - გარემოსდაცვითი რისკების შეფასება



27 აგვისტოს ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა - ელენე შატბერაშვილმა და მანანა გიგაურმა ჩაატარეს ონლაინ-ტრენინგი მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის (SBDP4) ფარგლებში დაფინანსებულ მეწარმეთა გარემოსდაცვითი გავლენის შეფასებისა და რისკების შემცირების საკითხებზე. ტრენინგის მიზანი იყო პროექტის მიერ მხარდაჭერილ მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება მათ საქმიანობაში წარმოქნილი გარემოსდაცვითი რისკების შესახებ და პრაქტიკული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გაცნობა გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ტრენინგს დაესწრო 6 მცირე მეწარმე. ტრენინგის შემდეგ ყველა მონაწილეს გაეგზავნა გარემოზე ზემოქმედების შერბილების ინდივიდუალური გეგმა.

■ ფრანგი მცხობელის ვიზიტი „მარცვლეულის კიდობანში“

9 სექტემბერს „მარცვლეულის კიდობანს“ სოფელ წნისში ესტუმრა ფრანგი მცხობელი და ბლოგერი ფაბრის კოტეზი, რომელიც გაეცნო „ელკანას“ მიერ აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით განხორცილებულ საქმიანობებას ბლოგერიგანსაკუთრებით დაინტერესდა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ხორბლის ენდემური სახეობებითა და ადგილობრივი ჯიშებით, რომელთა აღდგენა, გამრავლება და პოპულარიზაცია „ელკანას“ „მარცვლეულის კიდობანში“ განახორციელა.

ფაბრის კოტეზმა „მარცვლეულის კიდობანში“ გადაიღო კადრები თავისი ვიდეოსთვის, სახელწოდებით „აღმოაჩინე ტრადიციული ქართული პურისა და სამზარეულოს ხელოვნება“, რომელიც საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მოამზადა. ვიდეოს ბმული - https://www.youtube.com/watch?v=BRCx6fZ09tA

„ელკანას“ წევრ მეურნეებს Brot für die Welt-ის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პროგრამის წარმომადგენელი ესტუმრა

17–20 ოქტომბერს საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა დოროთეა ვოლფი, რომელიც შეხვდა „ელკანას“ პარტნიორ ფერმერებს და მოინახულა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე მეურნეობები კახეთში, შიდა ქართლში, გურიასა და სამეგრელოში. ვიზიტის მიზანი იყო ორგანული და აგროეკოლოგიური მეურნეობების საქმიანობის გაცნობა, ფერმერებისთვის გამოცდილების გაზიარება და სოფლის განვითარების მიმართულებით მიმდინარე ინიციატივების ადგილზე გაცნობა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა შემდეგ მეურნეებთან და ორგანიზაციებთან:

- კოტე თოფურია, „მარანი იორა“ – საგარეჯო, ნინოწმინდა. მევენახეობა, მეღვინეობა და ღვინის დეგუსტაცია;
- დიმიტრი ტიკარაძე, „Yourland“ – უდაბნო. მრავალპროფილური მეურნეობა;
- მარანი „ლაგვნი“, ახმეტა. მევენახეობა, მეღვინეობა, აგროტურიზმი;
- ქისტაურის სათემო ცენტრი – თემის განვითარების საქმიანობის გაცნობა;
- „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა, – ზემო ხოდაშენი. კახური ღორისა და თუშური ცხენის მოშენება და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია;
- საცხობი „ლაგაზი“, თბილისი. პურის ცხობა ხორბლის ადგილობრივი სახეობებისა და ჯიშების გამოყენებით;
- გიორგი კოკოზაშვილი – ერგნეთი. ხილის წარმოება;
- გორის ქალთა ჯგუფი – მრავალპროფილური საქმიანობის გაცნობა;
- ანზორ მაისურაძე – ნაბახტევი. აგრარული ბიომრავალფეროვნება - მარცვლეული კულტურების წარმოება;
- ავთო თურქია, ლანჩხუთი. მევენახეობა და მეღვინეობა;
- ავთანდილ ხუხუნაიშვილი – ლანჩხუთი. მეფუტკრეობა;
- დავით ხურუა – ცაიში. კენკროვანი კულტურების წარმოება;
- ხათუნა ნანავა და კახა კობალია – ცაიში. მოცვისა და ვერმიკომპოსტის წარმოება;

- ნანა ფიფია – ცაიში. მარწყვის წარმოება;
- ვახტანგ მერკვილიშვილი – ვანის მუნიციპალიტეტი, ფერეთა. ბიო ჩაის წარმოება, კენკრისა და ველურად შეგროვებული მცენარეების შრობა, ვერმიკომპოსტის წარმოება.

დოროთეა ვოლფი ადგილზე გაეცნო ორგანული და აგროეკოლოგიური მეურნეობების საქმიანობას, ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გამოცდილებას, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სოფლის განვითარების მიმართულებით მიმდინარე ინიციატივებს.

■ კოდისა და შაუმიანის დევნილთა ჩასახლებების სკოლის მოსწავლეები „მარცვლეულის კიდობანში“

24-25 ოქტომბერს პროექტის ფარგლებში - „SOLATIUM: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის,“ „ელკანამ“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ გამართა შემეცნებითი ტური კოდისა და შაუმიანის დევნილთა დასახლებებში მცხოვრები IX–XI კლასის 30 მოსწავლისათვის.

ტურის ფარგლებში მოსწავლეებმა დაათვალიერეს „მზიანეთი“ - მესხური სახლი სოფელ ჭობარეთში, გაეცნენ ადგილწარმოშობის პროდუქტებს, ჩაერთნენ მესხური პურის, ხაჭაპურისა და ქადის ცხობის, ტენილი ყველის მომზადებისა და აპოხტის ხინკლის მომზადების პროცესში.

მოსწავლეები ასევე ესტუმრნენ სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ღირსშესანიშნაობას - რაბათის ციხეს და გაეცნენ რეგიონის ისტორიას.

ტური დასრულდა „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში - „მარცვლეულის კიდობანი“, სადაც მოსწავლეებმა დაათვალიერეს ქართული ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები და ნახეს, როგორ ხდება ქვეყნის აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაცია და გამრავლება.

■ ტრენინგი - კლიმატისა და კატასტროფების რისკების მონაწილეობითი შეფასება

ასოციაცია „ელკანამ“ 17-21 ნოემბერს კახეთში, ზემო ხოდაშენის შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში, კლიმატისა და კატასტროფის რისკების მონაწილეობითი შეფასების თემაზე 5-დღიანი ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგს ესწრებოდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების - ზემო ხოდაშენისა და აწყურის თემიდან 19 ადგილობრივი წარმომადგენელი. ტრენინგი დაფუძნებული იყო PACDR-ის (კლიმატის და კატასტროფების რისკების მონაწილეობითი შეფასება) საერთაშორისო მოდულებსა და პრაქტიკულ

სავარჯიშოებზე, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა გაეაზრებინათ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები ადგილობრივ დონეზე.

დისკუსიებისა და ჯგუფური სამუშაოების შედეგად თემის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს თავიანთი სოფლებისთვის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგიები, განსაზღვრეს პრიორიტეტული პრობლემები და შეჯერდნენ საპროექტო იდეებზე, რომლებიც შემდგომში რეალისტურ სამოქმედო გეგმებად უნდა ჩამოყალიბდეს.

ბიოპროდუქციისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

„ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშანი

2019 წელს „ელკანამ“ ასოციაციის წევრი ფერმერებისთვის შეიმუშავა და დანერგა აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭების სისტემა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს „ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრებასა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. სისტემა ევროკავშირის მინიმალურ რეგულაციებსა და აგროეკოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭება ხდება ორგანიზაციის მიერ შემუშავებული შიგა კონტროლის სისტემის საფუძველზე. 2025 წელს „ელკანას“ წევრებთან ჩატარებული ინსპექციის საფუძველზე 12 მწარმოებლის პროდუქტებსს აგროეკოლოგიური ნიშანი მიენიჭა.

„ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა „გუდვილში“

„ელკანამ“ „გუდვილთან“ თანამშრომლობითა და „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ მხარდაჭერით 2025 წელს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ორდღიანი გამოფენა-გაყიდვა 18-ჯერ გამართა. ღონისძიებები ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ საბურთალოს, დიდი დიღმისა და ვაკის ფილიალების ტერიტორიაზე გაიმართა. გამოფენა-გაყიდვებზე წარმოდგენილი იყო „ელკანას“ წევრი ფერმერების მიერ ორგანული და აგროეკოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქცია. წლის განმავლობაში ღონისძიებაში რეგულარულად მონაწილეობდა „ელკანას“ 15 წევრი.

■ ადგილობრივი ჯიშებისგან დამზადებული კერძების დეგუსტაცია

5 მაისს თბილისში, სასტუმრო „ჰილტონ გარდენ ინ რივერსაიდ ვიუში“ საქართველოს HoReCa-ს სექტორის წარმომადგენლებისათვის გაიმართა ხორბლის ენდემური სახეობებისა და მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ადგილობრივი ჯიშებისგან დამზადებული კერძების დეგუსტაცია. კერძები სასტუმროს შეფებმა მოამზადეს, რაც მათთვის ერთგვარი გამოწვევაც კი აღმოჩნდა. ღონისძიების მიზანი იყო HoReCa-ს სექტორის წარმომადგენლებისათვის გაეცნო ქართული ენდემური ხორბლის, ადგილობრივი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები, მათი გასტრონომიული პოტენციალი და, მწარმოებლებთან პირდაპირი კავშირის დამყარებით, ხელი შეეწყო ღირებულებათა მოკლე ჯაჭვების განვითარებისათვის. ღონისძიებას 73 სტუმარი დაესწრო,

ხორბლის ადგილობრივი ჯიშებისა და ენდემური სახეობებისაგან დამზადებული პური წარმოადგინეს „ელკანას“ წევრმა მცირე საცხობებმა - ნატახტრის დედათა მონასტრის საცხობმა, „მამას პურმა“, „ნათელას პურმა“ და „ლაგაზიმ“.

ღონისძიება ჩატარდა bp საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში“.

■ ქართული ხორბლის ამბავი და პურის ცხობის მასტერკლასი

2, 8 და 30 მაისს „ელკანას“ თბილისის ოფისში ჩატარდა პურის ცხობის მასტერკლასი, რომელსაც უძღვებოდნენ ნუკრი მემარნიშვილი და ლალი გოგინავა. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ხორბლის ადგილობრივ ჯიშებსა და ენდემურ სახეობებს, მათ ბიოლოგიურ და კულტურულ მნიშვნელობას და ტრადიციული წესით პურის ცხობის ტექნოლოგიას. მასტერკლასს დაესწრო და პური გამოაცხო 21 მონაწილემ (მათ შორის 18 ქალი იყო).

■ ღვინის და კერძის ფესტივალი

13 დეკემბერს # 1 ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე, „ქართლი საძველეში“გაიმართა ქართლის ღვინისა და კერძის ფესტივალი, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერას და სტუმრებისთვის ხარისხიანი, კულტურულად მდიდარი გასტრონომიული გარემოს შექმნას. ფესტივალზე ქართლის სხვა ფერმერებსა და შეფმზარეულებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ასოციაცია „ელკანას“ წევრების პროდუქციაც.

მცირე მეწარმეთა ხელშეწყობა

■ მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის IV ფაზის (SBDP4) ფარგლებში მიღწეული წარმატებები

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის IV ფაზა (SBDP4) წარმოადგენს bp-ის მიერ 2015 წლიდან ეტაპობრივად განხორციელებული სათემო განვითარების პროგრამის გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით დაფინანსება მიიღო და გადამზადდა ათასამდე დამწყები და მოქმედი მეწარმე. პროექტი ხორციელდება ბაქო–სუფსის მილსადენის გასწვრივ მდებარე 117 სამიზნე სოფელსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა 4 დასახლებაში - ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს 15 მუნიციპალიტეტში.

პროექტის ფარგლებში, 2025 წლის თებერვალში, დაფინანსდა დამწყები და მოქმედი მეწარმეების მეოთხე საგრანტო კონკურსის გამარჯვებული 7 მეწარმე, მათ შორის - 5 ქალი და 2 კაცი. დაფინანსებული პროექტებიდან 5 იყო დამწყები, ხოლო 2 - არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით დაფინანსდა. პროექტის მხარდაჭერით ასევე შეიქმნა ერთი ახალი ბიზნესი — სილამაზის სალონი სოფელ იგოეთში (კასპის მუნიციპალიტეტი). მანამდე სოფელში სალონი არ ფუნქციონირებდა და ამ ფაქტს ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად გამოეხმაურა.

პროექტის ფარგლებში გაცემულმა 29,980 ლარის საგრანტო დაფინანსებამ და 15,558.29 ლარის თანადაფინანსებამ ჯამში 45,538.29 ლარის ინვესტიციის განხორციელება უზრუნველყო. შედეგად, 2025 წელს დაფინანსებულმა შვიდმა ბიზნესმა ჯამურად 125,215 ლარის მოგება მიიღო, რაც განხორციელებული ინვესტიციის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მიუთითებს.

- **„ელკანას“ ვიზიტი მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის IV ფაზის (SBDP4) ფარგლებში დაფინანსებულ მეწარმეებთან დასავლეთ საქართველოში**

29-30 სექტემბერს „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ, პროგრამის მენეჯერმა თამაზ დუნდუამ და ბიოაგროწარმოებისა და მემცენარეობის დარგის მრჩეველმა ნუკრი მემარნიშვილმა მოინახულეს 2022-2025 წლებში დაფინანსებული 11 მცირე მეწარმე/საწარმო სამტრედიის, ლანჩხუთის, თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში. ამ ვიზიტების მიზანი იყო დაფინანსებულ საწარმოებისა და პროექტის ფარგლებში შეძენილი კაპიტალური აქტივების დათვალიერება, კონსულტაციის გაწევა, დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრა და პროექტის გავლენის ზოგადი შეფასება მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

„ელკანას“ წარმომადგენლებმა დაათვალიერეს საწარმოები, მათ შორის - საცხობები, სანერგე მეურნეობა, სუვენირების საამქროები, საკონდიტრო საწარმო და საფუტკრე მეურნეობა და სიღრმისეულად გაეცნენ თითოეული მეწარმის საქმიანობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოების ტექნოლოგიებს, ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებს, ასევე ორგანული წარმოების დანერგვის პოტენციალს, ფინანსურ შედეგებს და სხვ.

NATURLAND KVP პროექტის, „ეკოლოგიური საქართველო – მომავლის მეურნეობა“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- **„ელკანა“ BIOFACH 2025-ზე NATURLAND-თან ერთად**

11–14 თებერვალს ნიურნბერგში (გერმანია) გაიმართა BIOFACH 2025 - ორგანული პროდუქტების მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო გამოფენა. ღონისძიებაში მონაწილეობდა 2,300-მდე კომპანია 94 ქვეყნიდან და 35,000-ზე მეტი ვიზიტორი 140 ქვეყნიდან. გამოფენის ფარგლებში განხილული იყო ორგანული სოფლის მეურნეობის, მდგრადი სასურსათო სისტემების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და საერთაშორისო ბაზრების განვითარების საკითხები.

NATURLAND KVP პროექტის - „ეკოლოგიური საქართველო - მომავლის მეურნეობა“ მხარდაჭერით BIOFACH 2025-ზე „ელკანას“ წარმომადგენელი - ირაკლი ჯავახიშვილი მონაწილეობდა. მან 13 თებერვალს Naturland-ის ლაუნჯში (პავილიონი 7A, სტენდი 7A-349) გამართულ ღონისძიებაზე - საქართველოს გემო: თხილი, ღვინო და ორგანული საოცრებები, წარადგინა პრეზენტაცია საქართველოში ბიომეთხილეობის სექტორის შესახებ.

ღონისძიებას, რომლის მიზანიც იყო საქართველოს წარმატებული ორგანული ინდუსტრიის, მათ შორის ორგანული ღვინის, თხილის, ველურად შეგროვებული პროდუქტებისა და ჩაის სექტორების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, მოწვეული სტუმრები და BIOFACH 2025-ის ვიზიტორები სტუმრობდნენ. მათ მოისმინეს პრეზენტაცია საქართველოს ორგანულ სექტორსა და ღირებულებათა ჯაჭვებზე https://drive.google.com/file/d/1mui0cQxSqZxAqVto4fU8WFXOWGRshu0t/view?usp=sharing} და დააგემოვნეს ქართული ბიოპროდუქტები.

■ სტრატეგიული დაგეგმვა და Go Organic Day 2025 პროექტის პარტნიორებთან ერთად

თბილისში, სასტუმრო IOTA-ში 2025 წლის 11 მარტს, პროექტის პარტნიორებთან ერთად, გაიმართა პროექტის სტრატეგიული დაგეგმვა, ხოლო 13 მარტს - Go Organic Day 2025. ღონისძიებამ თავი მოუყარა ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორის, სახელმწიფო უწყებების, კერძო ბიზნესის, HoReCa სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ღონისძიება ორი თემატური სესიისგან შედგებოდა. პირველ სესიაზე განიხილეს საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების სამომავლო სტრატეგიები, წარმოდგენილი იყო პოლიტიკის დოკუმენტები ორგანული და სამართლიანი ვაჭრობის სექტორის, ორგანული მევენახეობისა და მცირე საოჯახო მეურნეობების შესახებ, ასევე გაიმართა დისკუსია სექტორის განვითარების სამოქმედო გეგმებზე. მეორე სესია დაეთმო HoReCa სექტორის ცნობიერების ამაღლებას ორგანული და სამართლიანი ვაჭრობის პროდუქტების მიმართ. მონაწილეებს წარედგინათ ინფორმაცია ბაზრის ტენდენციების, რეგულაციებისა და მიწოდების ქსელების შესახებ, ხოლო ღონისძიება დასრულდა ქართული ორგანული ჩაის, ღვინის, თხილისა და სხვა პროდუქტების დეგუსტაციით.

ღონისძიების მიზანი იყო საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობისა და სამართლიანი ვაჭრობის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და ორგანული პროდუქტების პოპულარიზაცია.

■ „ელკანა“ მონაწილეობდა ღონისძიებაში: Go Organic Day 2025 - სერტიფიცირებული ფერმიდან შენს სუფრამდე

13 ოქტომბერს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში, რესტორან „ბანჰოფში“ ჩატარდა ღონისძიება „Go Organic Day 2025 – სერტიფიცირებული ფერმიდან სუფრამდე“. ღონისძიება გაიმართა NATURLAND KVP პროექტის: „ეკოლოგიური საქართველო - მომავლის მეურნეობა“ მხარდაჭერით და პროექტის პარტნიორი ასოციაციების - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასა“ და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თანაორგანიზებით. ღონისძიების მიზანი იყო სერტიფიცირებული ორგანული და მდგრადი პროდუქციის პოპულარიზაცია, მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის კავშირების გაძლიერება და თანამშრომლობის ხელშეწყობა ფერმერებს, ასოციაციებსა და HoReCa-ს სექტორს შორის. პროგრამა მოიცავდა პანელურ დისკუსიებს, პრეზენტაციებს, მასტერკლასებს, ფერმერულ ბაზრობასა და დეგუსტაციას.
დისკუსია შეეხო საქართველოში ბიო- და აგროეკოლოგიური წარმოების განვითარების საკითხებს. ასოციაცია „ელკანამ“ დამსწრეებს გააცნო ორგანიზაციის ხარისხის კერძო ნიშანი - „ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშანი და ორგანიზაციის წევრი ფერმერების ამ ნიშნით წარმოებული პროდუქცია.

■ პიგოს თავგადასავალი – ამბავი გულზე, მიწასა და იმედზე

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა ფერმერ ქალთა ასოციაციის (WFA) ექსპერტის - თამარ ფხაკაძის ზღაპრის - „პიგოს თავგადასავალის“ გამოცემა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ ზღაპრის დაწერის შთაგონება და მოტივაცია იყო პროექტის ხედვა, აქტივობა და ღირებულებები.

პიგოს თავგადასავალი არის არაჩვეულებრივი ენით დაწერილი ზღაპარი, რომელიც ერთი საინტერესო და მამაცი გოჭის, პიგოს, და მისი უჩვეულო მეგობრების – კურდღლის, ფუტკრის დედოფლისა და ხოჭოს – თვალით აერთიანებს გარემოს დაცვის, ორგანული სოფლის მეურნეობისა და მეგობრობის თემებს. ზღაპრის სიუჟეტი ვითარდება ჯადოსნურ დედამიწაზე და აღწერს, როგორ კვდება დაბინძურებისა და ქიმიკატების გადაჭარბებული გამოყენების გამო პლანეტის გული, რომელიც ადრე ბუნებითა და სიყვარულით იყო გარემოცული.
პიგო - რეალურად არსებული გოჭია, რომელიც „ელკანას“ ზემო ხოდაშენის საკონსერვაციო მეურნეობაში დაიბადა. მეურნეობაში, რომელიც კახური ღორის გადარჩენასა და ფერმერებს შორის საჯიშედ გავრცელებას ემსახურება.
ზღაპრის მიხედვით, პიგო და მისი მეგობრები ქმნიან გაერთიანებას - „MotherNature“ და ცდილობენ დედამიწის ბალანსის აღდგენას ორგანული მეთოდების ცოდნითა და ერთობის ძალით. ზღაპარი ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე განმარტავს მიწის სიჯანსაღის, ბიომრავალფეროვნებისა და ორგანული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას, რაც ასე მნიშვნელოვანია საწყისი გარემოსდაცვითი განათლებისთვის.

■ სასწავლო პროგრამა/ToT სახელმძღვანელოები



პროექტის ფარგლებში შემუშავდა ოთხი (3 ორენოვანი და 1 ქართული) სასწავლო პროგრამა/ToT (ტრენერთა მოსამზადებელი ტრენინგი) სახელმძღვანელო, შემდეგი მიმართულებებით:

1. ორგანული და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპები საქართველოში
2. ორგანული მევენახეობა და ღვინის წარმოება
3. ორგანული ჩაის მოყვანა და გადამუშავება
4. ორგანული მეურნეობა მცირე მასშტაბის ოჯახური ფერმებისთვის, მათ შორის მეწარმეობისთვის

სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია „ელკანას“ ვებგვერდზე: https://elkana.org.ge/publication/categories

სახელმძღვანელოების მომზადებაში მონაწილეობდნენ „ელკანას“ ექსპერტები - თამაზ დუნდუა, ნუკრი მემარნიშვილი, გიორგი ბარისაშვილი და ია ებრალიძე.

■ პოზიციის დოკუმენტების შემუშავება

პროექტის ფარგლებში შემუშავდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტებს წარედგინა პოზიციის სამი დოკუმენტი:
1. სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების ინტეგრაცია ორგანულ სექტორში
2. მცირე და ოჯახური ფერმების იურიდიული აღიარება
3. ქართული ღვინის სექტორის განვითარების სტრატეგიები

პოზიციის წერილები იხ. „ელკანას“ ვებგვერდზე: https://elkana.org.ge/articlebycategory/129

ფართო მონაწილეობისა და ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად გაიმართა მრგვალი მაგიდის 8 შეხვედრა, ასოციაციების, მწარმოებლებისა და ექსპერტების მონაწილეობით. პოზიციის დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობდნენ „ელკანას“ ექსპერტები - მარიამ ჯორჯაძე, თამაზ დუნდუა, ნუკრი მემარნიშვილი, გიორგი ბარისაშვილი და ია ებრალიძე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

■ „ელკანა“ აგროეკოლოგიის ფორუმზე



22-27 აპრილს ინდონეზიის ქალაქ ბოგორში ფერმერთა ორგანიზაცია SPI (Serikat Petani Indonesia)-ს მასპინძლობით გაიმართა აგროეკოლოგიური ფონდის (Agroecology Fund) მიერ მხარდაჭერილი „აზიის გამოცდილების გაზიარების ფორუმი აგროეკოლოგიური ეკონომიკების შესახებ“ (Asia Learning Exchange on Agroecology Economies). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აზიის სხვადასხვა ქვეყნის ფერმერული ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და აგროეკოლოგიის მხარდამჭერი ქსელები. შეხვედრის მიზანი იყო აგროეკოლოგიური ეკონომიკის მოდელების, ფერმერების ბაზრებთან წვდომის, სათესლე სისტემების, ადგილობრივი სასურსათო ქსელებისა და აგროეკოლოგიური პრაქტიკის განვითარების გამოცდილების გაზიარება. ფორუმზე საქართველოს გამოცდილება მარიამ ჯორჯაძემ წარადგინა. ფორუმის ბოლო დღე აგროეკოლოგიურ მეურნეობებში ვიზიტს დაეთმო. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა დამსწრეთა მონაწილეობა ბრინჯის მოსავლის აღებაში.

„ელკანა“ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის აგროეკოლოგიის ქსელის, „ბილიმის“ წლიურ ფორუმზე

21-24 მაისს მოლდოვის რესპუბლიკაში, ქალაქ კიშინიოვში გაიმართა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის აგროეკოლოგიის ქსელის, „ბილიმის“ წლიური ფორუმი, რომელსაც დაესწრნენ „ბილიმის“ წევრი 20 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები 15 ქვეყნიდან.

„ბილიმი“ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის აგროეკოლოგიური ორგანიზაციების ალიანსია. ის აერთიანებს რიგით ადამიანთა მოძრაობებს, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, მათ შორის - გლეხებს და მცირე ფერმერებს, მკვიდრ მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო საზოგადოებას, ქალებს, ახალგაზრდებსა და ყველას, ვინც აქტიურად არის ჩართული აგროეკოლოგიურ საქმიანობაში. თემის წევრები პრაქტიკაში იყენებენ აგროეკოლოგიურ მეთოდებს ან ხელს უწყობენ აგროეკოლოგიის განვითარებას ადგილებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და სასურსათო სისტემების საფუძვლად მცირე ფერმერთა ცოდნას განიხილავენ.

ფორუმის პირველ სესიაზე მოხსენება წარადგინა ასოციაცია „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ თემაზე - „ბიომრავალფეროვნება სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობაში“. მეორე სესიის ფარგლებში ფორუმის მონაწილეებმა ისაუბრეს „ბილიმის“ ალიანსსა და ტერიტორიულ მიდგომებზე სოფლის მეურნეობაში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით. დღის დასკვნით ნაწილში კი „ბილიმის“ წევრ ორგანიზაციებს შორის მრგვალი მაგიდის ფორმატში მოეწყო დისკუსია „ბილიმის“ განვითარებისა და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

ფორუმის ფარგლებში განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა - აგროეკოლოგია და ბიომრავალფეროვნება, თესლის წარმოება ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში, სოფლის გაძლიერება, ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და სხვ. ფორუმის განმავლობაში ჩატარდა კულტურათაშორისი გაცვლის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დელეგაციების წარმომადგენლებმა დააგემოვნეს მონაწილე ქვეყნების ტრადიციული კერძები, ტკბილეული და გაცვალეს თესლეული. ფორუმის მონაწილეებმა მოინახულეს აგროტურისტული და პერმაკულტურის პრინციპებზე დაფუძნებული მეურნეობები,

რომლებსაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები მართავენ, ასევე ესტუმრნენ ფერმერების ეკობაზარს, სადაც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი აგროეკოლოგიური პროდუქტები.
ფორუმის დასკვნით დღეს, შემაჯამებელი შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა ისაუბრეს „ბილიმის“ ხელმძღვანელობის საკითხებზე, სამდივნოს ახალ როლსა და მოვალეობებზე. ალიანსის წევრების საერთო გადაწყვეტილებით, „ბილიმის“ თანათავმჯდომარეებად აირჩიეს პროფესორი, დოქტორი გორდანა დურიჩი (ფონდი „ალისა“), ბანია ლუკა (ბოსნია და ჰერცეგოვინა) და ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი მარიამ ჯორჯაძე (საქართველო).

■ პროექტის, „აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში“ დახურვის ღონისძიება

26 ივნისს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში, „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა - „მარცვლეულის კიდობანში“ გაიმართა bp საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში“ დახურვის ღონისძიება.
ღონისძიება მიზნად ისახავდა პროექტის შედეგების შეჯამებას და დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებას მიღწეული შედეგებისა და სამომავლო შესაძლებლობების შესახებ.
ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტში ჩართული და „ელკანას“ წევრი ფერმერები, ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი სამსახურებისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

ღონისძიება გახსნეს და მონაწილეებს მიესალმნენ bp საქართველოს, ასოციაცია „ელკანასა“ და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს პროექტის შედეგებზე და აგრარული ბიომრავალფეროვნების, როგორც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე. პროექტში ჩართულმა ფერმერებმა დამსწრეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ადგილობრივი კულტურების აღდგენა-მოყვანის მიმართულებით. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებს

საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ თესლეულისა და პუბლიკაციების გამოფენა და გასცნობოდნენ საკონსერვაციო მეურნეობის მუშაობას.

„bp, თავისი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მოწოდებულია მხარი დაუჭიროს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, რადგან სწორედ ეს მრავალფეროვნება ქმნის ჩვენი სამყაროს მდგრადობასა და მშვენიერებას და მისი შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის ყოველი ჩვენგანის წარუვალი ღირებულებაა," - აღნიშნა bp საქართველოს წარმომადგენელმა ეთერ კვირიკაშვილმა.
„ფასდაუდებელია „ელკანას" საქმიანობა ქართული აბორიგენული კულტურების შენარჩუნების მიმართულებით, იმედი გვაქვს, რომ ეს საქმიანობა მომავალშიც გაგრძელდება და გაფართოვდება," - აღნიშნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა თამარ ჯინჯიხაძემ.
„მიუხედავად იმისა, რომ სოფელში გავიზარდე, ადგილობრივი ხორბლისა და ბოსტნეულის ჯიშების შესახებ მხოლოდ გადმოცემით ვიცოდი. „ელკანასთან" თანამშრომლობამ და პროექტმა საშუალება მომცა რეალურად გამეცნო ეს კულტურები, დამეწყო წითელი დოლით და შემდეგ გამეფართოებინა ჩემი ასორტიმენტი. ახლა შემიძლია ჩემს აგროტურისტულ მეურნეობაში მოსულ სტუმრებს ჩემივე წარმოებული ადგილობრივი ხორბლისა და სხვა პროდუქტებით გავუმასპინძლდე და ეს დიდი სტიმულია ჩემთვის," - აღნიშნა ფერმერმა ზაზა ივანიძემ, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი ღრელიდან.

„ელკანა“ Nyéléni Global ფორუმზე

6-14 სექტემბერს კანდიში (შრი-ლანკა) გაიმართა Nyéléni-ის (https://nyeleni.org/) მესამე გლობალური ფორუმი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით სასურსათო სუვერენიტეტის, აგროეკოლოგიის, კლიმატური სამართლიანობისა და სოციალური მოძრაობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეკრებაა. ფორუმში მონაწილეობდნენ ფერმერები, მეთევზეები, მესაქონლეები, მკვიდრი ხალხების წარმომადგენლები, ქალთა და ახალგაზრდული მოძრაობები, მკვლევრები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები 100-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის ორი მონაწილე საქართველოდან: მარიამ ჯორჯაძე - „ელკანადან“ და მარიკა კაპანაძე - ქალთა მარში („Women’s March“).

ფორუმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო სასურსათო სუვერენიტეტი და აგროეკოლოგია, როგორც მდგრადი და სამართლიანი სასურსათო სისტემების საფუძველი. მონაწილეებმა განიხილეს მიწის, თესლის, წყლისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ადგილობრივი ეკონომიკების გაძლიერების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კორპორაციული კონტროლის შემცირების საკითხები.ს
ფორუმის მუშაობის შედეგად მიიღებ „კანდის დეკლარაცია“ (https://nyeleni.org/en/the-kandy-declaration-a-collective-roadmap-for-systemic-transformation/?utm_source=chatgpt.com), რომელიც სოციალური მოძრაობების ერთობლივ სამოქმედო ჩარჩოს წარმოადგენს და მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებას სისტემური გარდაქმნებისკენ, ხალხზე ორიენტირებული ეკონომიკის, აგროეკოლოგიისა და დემოკრატიული მმართველობის განვითარების გზით. „სასუსათო სისტემა უნდა შეიცვალოს! დაუყოვნებლივ!“ - ასეთი იყო ფორუმის სულისკვეთება.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე ევროკომისიის სესია - „ნაკლები დანახარჯებით მეტი წარმოება“

სოფლის მეურნეობის საკითხებზე ევროკომისიის 44-ე სესია ჩატარდა 2-3 ოქტომბერს ბუდაპეშტში, უნგრეთში, FAO-ს (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) მხარდაჭერით. ეს FAO-ს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ტექნიკური ფორუმია, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს ევროპის რეგიონული კონფერენციისთვის. ამ ფორუმზე საქართველოს წარმოადგენდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის

ხელმძღვანელის მოადგილე გენადი ჯანგიძე. ფორუმს ასევე ესწრებოდა მარიამ ჯორჯაძე - ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი. ის, პიერ მეისონთან (საფრანგეთი) ერთად იმყოფებოდა Nyéléni-ის (https://nyeleni.org/) ევროპისა და შუა აზიის წარმომადგენლობის (რომლის წევრიც არის „ელკანა“) სახელით. სესიაზე განხილული იყო მეტი ეფექტურობის, ინკლუზიურობისა და მდგრადობის სტრატეგიული პოლიტიკა, ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენება და მწვანე ტექნოლოგიებში ინვესტირება. მარიამ ჯორჯაძემ სესიაზე წარმოადგინა ფერმერთა ხედვა - უფრო ეფექტიანი, ინკლუზიური და მედეგი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისკენ მიმართული სტრატეგიული პოლიტიკისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სისტემების პროდუქტიულობის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესებას.

■ „ელკანას“ მონაწილეობა PACDR-ის (კლიმატის და კატასტროფის რისკების მონაწილეობითი შეფასება) პრაქტიკოსთა საერთაშორისო ჯგუფის ონლაინ შეხვედრებში

ასოციაცია „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო 2025 წლის განმავლობაში ორგანიზებულ PACDR-ის პრაქტიკოსთა ჯგუფის ოთხ ონლაინ შეხვედრაში. მათ შორის ერთ-ერთზე, კერძოდ, 4 დეკემბერს ორგანიზებულ შეხვედრაზე „ელკანას“ წარმომადგენელმა სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია „ელკანას“ მიერ 2025 წლის 17-21 ნოემბერს კახეთში PACDR ტრენინგის ჩატარების შესახებ.

„ელკანა“ PACDR-ის პრაქტიკოსთა საერთაშორისო ჯგუფის წევრია, რომელიც აერთიანებს PACDR-ის ტრენერებს, ფასილიტატორებს, პრაქტიკოსებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ჯგუფის რეგულარული ონლაინ შეხვედრები იმართება კვარტალურად. შეხვედრების მიზანია ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთისთვის PACDR-ის განხორციელების პრაქტიკული გამოცდილების, სიახლეებისა და რჩევების გაზიარება.

■ „ელკანას“ მონაწილეობა საერთაშორისო სიმპოზიუმში - „საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი სოფლის მეურნეობა (CSA): გამოწვევების დაძლევა და სოლიდარობის განმტკიცება“.

10–14 დეკემბერს ვილარსოში (საფრანგეთი) URGENCI-ის საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, თემაზე: „საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი სოფლის მეურნეობა (CSA): გამოწვევების დაძლევა და სოლიდარობის განმტკიცება“. ფორუმმა თავი მოუყარა საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი სოფლის მეურნეობის (CSA) ქსელების, ფერმერული ორგანიზაციებისა და აგროეკოლოგიური მოძრაობების წარმომადგენლებს სხვადასხვა ქვეყნიდან. მონაწილეებმა განიხილეს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, აგროეკოლოგიის, ქალთა ლიდერობისა და ფერმერებსა და მომხმარებლებს შორის სოლიდარობის გაძლიერების საკითხები.

სიმპოზიუმის ფარგლებში ასევე შედგა პირველი შეხვედრა პროექტის: „მომთაბარეობა: რეგიონთაშორისი საგანმანათლებლო პროგრამა აგრო-სატყეო-პასტორალური მეურნეობის შესახებ“, რომლის ასოცირებული პარტნიორია „ელკანა“. თავდაპირველ განაცხადში „ელკანა“ პროექტის სრულფასოვანი პარტნიორი იყო, თუმცა

საქართველოში „აგენტების კანონის“ მიღების შემდეგ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში ორგანიზაციის მონაწილეობა გადაკვალიფიცირდა „ასოცირებულ პარტნიორად“ - ანუ პარტნიორად ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.

შეხვედრაზე მარიამ ჯორჯაძემ წარმოადგინა „ელკანას“ გამოცდილება თუშური გუდის ყველის ადგილწარმოშობის პროდუქტად დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. პრეზენტაციის მოსმენასთან ერთად, სიმპოზიუმის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ თუშური გუდა დამზადებული ცხვრისა და ძროხის შერეული რძისგან, და ასევე, განსაკუთრებული ყველი თუშეთიდან - ჩოგი.



სოფლის ტურიზმი

■ ინფოტური შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში

14 მაისს 15 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი ტუროპერატორები და გიდები ესტუმრნენ „ელკანას“ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობას. „ელკანას“ პროგრამის მენეჯერმა - თამაზ დუნდუამ, ინფოტურის მონაწილეებს დაათვალიერებინა მეურნეობა, გააცნო საკონსერვაციო საქმიანობა და უპასუხა მათ კითხვებს. „ელკანას“ სოფლის ტურიზმის კონსულტანტმა - მარიამ დევნოსაძემ ინფორმაცია მიაწოდა „ელკანას“ ტურისტული შეთავაზებების შესახებ. ვიზიტის ბოლოს კი ინფოტურის მონაწილეებმა დააგემოვნეს ადგილობრივი პროდუქტები და „ელკანას“ წევრის - „ლევანის მარნის“ ბიოღვინო. „ლევანის მარნის“ დამფუძნებელმა - ლევან გოგოლაძემ ინფოტურის მონაწილეებს უამბო მარნის საქმიანობის შესახებ და უპასუხა მათ კითხვებს.

შემდეგ ინფოტურის მონაწილეები ეწვივნენ „მეღვინეობა რტონს“, სოფელ რუისპირში. „მეღვინეობა რტონის“ წარმომადგენელმა და გასტრონომიის კონსულტანტმა - ქეთი კვიჭიძემ ინფოტურის მონაწილეებს დაათვალიერებინა მეურნეობა და მიაწოდა ინფორმაცია ტურისტულ შეთავაზებებზე. ტუროპერატორებმა და გიდებმა დააგემოვნეს ადგილობრივი კერძები და მონაწილეობა მიიღეს ჩურჩხელის ამოვლებისა და ხინკლის მოხვევის მასტერკლასში. ინფოტურის მონაწილეებმა გზად კვეტერას ციხე-ქალაქი მოინახულეს.

■ ზემო ხოდაშენის შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობა საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციამ „მწვანე მარშრუტების“ ქსელში შეიყვანა

2025 წლის 31 ივლისს თბილისში, „ფაბრიკაში“, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა თემაზე „მწვანე მარშრუტები“. ღონისძიების მიზანი იყო მდგრადი ტურიზმის, ეკოტურისტული მარშრუტების განვითარებისა და საქართველოს მწვანე მარშრუტების ქსელის პოპულარიზაცია. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი მეწარმეები და სხვა დაინტერესებული მხარეები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მწვანე მარშრუტების როლს რეგიონული განვითარების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების მიმართულებით. ღონისძიებაზე უჩვენეს მცირე სარეკლამო რგოლები „მწვანე მარშრუტების“, მათ შორის „ელკანას“ ზემო ხოდაშენის საკონსერვაციო მეურნეობის შესახებ. ღონისძიების დასასრულს გაიმართა პანელური დისკუსია - „მწვანე მარშრუტები – ადგილობრივი განვითარებისა და მობილობისთვის“, რომელშიც მარიამ ჯორჯაძე მონაწილეობდა.

პუბლიკაციები











წლიური შემოსავალი და ხარჯები

ვალუტა: ევრო

	2025 წელი
საწყისი ნაშთი	92,883
შემოსავალი	
დონორები/პროექტები	
Brot fur die welt	248,377
BP	268,495
Schola campasina	15,571
GIP	7,446
საწევრო შენატანები	4,014
შემოწირულობა	2,577
სხვა შემოსავალი	25,561
მთლიანი შემოსავალი	**572,042**
ხარჯები	
პროექტის აქტივობები (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.)	458,713
ინვესტიციები, თანადაფინანსება	12,169
ადმინისტრაციული ხარჯები	62,270
სხვა ხარჯები	56,733
მთლიანი ხარჯი	**589,885**
საბოლოო ნაშთი	75,040

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი